საქმე №დს-შ/5-14 28 იანვარი, 2015 წელი
ქ. თბილისი
მიღების ადგილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

მაია ვაჩაძე **(თავმჯდომარე, მომხსენებელი),**
ვასილ როინიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე

სხდომის მდივანი - მ. გ.

საჩივრის ავტორი - ადვოკატი გ. ქ.

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, წარმომადგენელი - თ. ხ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 7 ივლისის №103/13 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2013 წლის 14 აგვისტოს მოქალაქე თ. ჩ-მ საჩივრით მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ გ. ქ-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. თ. ჩ-ს საჩივრის საფუძველზე, დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2013 წლის 4 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ გ. ქ-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის - თ. ჩ-ს მითითებით, ზეპირი ხელშეკრულებისა და 2012 წლის 18 ოქტომბრის მინდობილობის საფუძველზე ადვოკატ გ. ქ-ს უნდა წარმოედგინა მისი ინტერესები სასამართლოში (თ. ჩ. წარმოადგენდა

ბინათმშენებლობა ამხანაგობა „----------“ თავმჯდომარეს, რომელიც ურთიერთობას აწარმოებდა ინვესტორებთან - ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეების მიერ დაფუძნებულ შპს „--------“). თ. ჩ-ს განმარტებით, 2012 წლის 3 ოქტომბერს მან ადვოკატს - გ. ქ-ს ზეპირი მოლაპარაკების თანახმად, ხელზე გადასცა 1000 აშშ დოლარი, რომელიც იმ აღნაგობის ხელშეკრულების მომზადების საფასური იყო, რაც გაფორმდა ამხანაგობა „--------“ და კომპანია „-------“ შორის. ხელშეკრულების მომზადების გარდა ადვოკატს ნოტარიუსთან ურთიერთობაც ევალებოდა. მოგვიანებით შპს „--------“ ამხანაგობის ქონებას ყადაღა დაადო, რის გამოც თ. ჩ-მ ადვოკატ გ. ქ-ს სთხოვა, რომ ყადაღის გაუქმებასთან დაკავშირებით ამხანაგობის წარმომადგენელი ყოფილიყო სასამართლოში. მას შემდეგ რაც შპს „----------“ ყადაღა დაადო ამხანაგობის ქონებას, საჩივრის ავტორმა ადვოკატს ხელმეორედ გადასცა 1000 აშშ დოლარი, იმისთვის, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მისი ინტერესები სასამართლოში წარმოედგინა.

საქმის სასამართლოში მოგების პირობით, ადვოკატმა თ. ჩ-ს დეპოზიტზე წინასწარ შეატანინა 49 785 ლარი, რომლის დამადასტურებელ დოკუმენტზეც ხელი მოაწერეს ადვოკატმა და საჩივრის ავტორის შვილმა - ც. ა-მ. აღნიშნული თანხა განკუთვნილი იყო საქმის სააპელაციო სასამართლოში წარმოებისათვის. 2013 წლის 7 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც საჩივრის ავტორს დაეკისრა 117 348 ლარის გადახდა. მითითებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საჩივრის ავტორმა ადვოკატს გაუუქმა რწმუნებულება და მოსთხოვა სადეპოზიტო ანგარიშზე ხელმოწერის გაუქმება, რაზეც მან უარი მიიღო. თ. ჩ-ს განცხადებით, საქმეზე ასეთი შედეგის დადგომის გამო ადვოკატს არ ეკუთვნობა საზღაური. ამდენად, მას არ ჰქონდა უფლება, მიეღო დეპოზიტზე არსებული თანხა.

საჩივრის ავტორის განცხადებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2013 წლის 7 მაისს, ხოლო დეპოზიტზე თანხა განათავსა უფრო ადრე, იმავე წლის 11 მარტს, იმ პირობით, რომ ადვოკატი გ. ქ. მოცემულ სამოქალაქო საქმეს სააპელაციო სასამართლოში მოიგებდა. აღნიშნული საქმისთვის კლიენტმა ადვოკატს წინასწარ გადაუხადა 1000 აშშ დოლარი. ამის შემდეგ კი ადვოკატი წაგებულ საქმეზე ცდილობდა თანხის გამოძალვას.

საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი გ. ქ. თ. ჩ-ს წარმომადგენლობას დაპირდა მ. კ-ს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეში, რაშიც ადვოკატს ფაქტობრივად მონაწილეობა არ მიუღია. გ. ქ. საჩივრის ავტორისგან 5000 აშშ დოლარს ითხოვდა და ამის სანაცვლოდ პირდებოდა, რომ დააჭერინებდა მ. კ-ს. აღნიშნულ საქმეში მაშინაც და დღესაც მონაწილეობს ადვოკატი ი. წ.

ადვოკატი გ. ქ. საჩივრის ავტორს წარმომადგენლობას დაპირდა ასევე პროფესორ დ. ჩ-სთან დაკავშირებულ საქმეზე. საჩივრის ავტორი აღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ის იყო კ-სა და ძ-ს წარმომადგენელი, რომლებიც ითხოვდნენ დ. ჩ-სა და მისი თანამზრახველი თანამშრომლების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. საჩივრის ავტორი თ. ჩ. და ადვოკატები - გ. ქ. და დ. კ. შეთანხმდნენ, რომ თუ ისინი დაეხმარებოდნენ საჩივრის ავტორს დ. ჩ-სა და მის თანამზრახველთა წინააღმდეგ დავაში, კერძოდ,

თ. ჩ-სთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში, ის ადვოკატებს გადაუხდიდა ამოღებული თანხის 50%-ს. მართალია, ადვოკატმა გ. ქ-მა სარჩელი მოამზადა და შეიტანა სასამართლოში, ასევე გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი და მონაწილეობა მიიღო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელებაში (რისთვისაც მან ადვოკატს გადასცა 3000 ლარი, ხოლო აქედან 550 ლარი უკან დაუბრუნა), თუმცა საჩივრის ავტორმა დღემდე არ იცის რა ხდება აღნიშნულ საქმეზე. თ. ჩ. ადასტურებს, რომ მას ადვოკატისთვის სხვა თანხა არ გადაუხდია და დაპირდა იმ თანხის ნახევრის გადახდას, რაც ამოღებული იქნებოდა პროფესორ დ. ჩ-ს ქონებიდან.

ადვოკატ გ. ქ-მა ეთიკის კომისიას წარუდგინა ახსნა- განმარტება, სადაც აღნიშნა, რომ თ. ჩ-ს სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებში სჭირდებოდა დახმარება, კერძოდ: 1) თ. ჩ., როგორც ნ. კ-ს წარმომადგენელი პროფესორ დ. ჩ-ს წინააღმდეგ; 2) თ. ჩ., როგორც მ. ძ-ს წარმომადგენელი პროფესორ დ. ჩ-ს წინააღმდეგ; 3) თ. ჩ. მ. კ-სა და მისი პარტნიორების წინააღმდეგ; 4) თ. ჩ., როგორც ბინათმშენებლობა ამხანაგობა „-------“-ის თავმჯდომარე ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეების მიერ დაფუძნებული შპს „------“ წარმოებულ ურთიერთობებში. ადვოკატის განმარტებით, საქმეების გაცნობის შემდეგ, თითოეულის სირთულის გათვალისწინებით, ისინი შეთანხმდნენ ანაზღაურების გარკვეულ ოდენობაზე, ხოლო საინვესტიციო პროექტის შემთხვევაში 30 000 აშშ დოლარზე (შესაბამისი 49 785 ლარი), რაც შეადგენდა საინვესტიციო პროექტის ღირებულების - 3 000 000 აშშ დოლარის 1%-ს. ადვოკატი საჩივრის ავტორს სამართლებრივ დახმარებას უწევდა 5 თვის განმავლობაში. საინვესტიციო პროექტთან დაკავშირებული მომსახურების ანაზღაურება, მხარეთა ზეპირი შეთანხმების თანხმად, უნდა მომხდარიყო მშენებლობის დაწყებისთანავე, მანამდე კი მარწმუნებელს გადასახდელი თანხა უნდა განეთავსებინა რომელიმე ბანკში ერთობლივ ანგარიშზე. ამდენად, გადასახდელი თანხა განთავსდა ადვოკატისა და საჩივრის ავტორის შვილის - ც. ა-ს ერთობლივ ანგარიშზე.

ადვოკატის განმარტებით, ინვესტორებთან მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, 2012 წლის 20 ნოემბერს, მომჩივანი მხარისათვის ცნობილი გახდა, რომ შპს „--------“ ყადაღა დაადო ამხანაგობის „--------“ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რის გამოც საინვესტიციო პროექტს გარდაუვალი ჩაშლა ემუქრებოდა. ადვოკატის მიერ გაწეული პროფესიული საქმიანობის შედეგად გაუქმდა ყადაღა და 2013 წლის 27 თებერვალს გაფორმდა უძრავი ქონების ნაწილის ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულება, რაც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. შპს „------“ წარმოებულ სამოქალაქო დავაში ჩართვა იმ აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში საინვესტიციო პროექტი არ განხორციელდებოდა.

ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში თ. ჩ-ს დაეკისრა 117 000 ლარის გადახდა. მომჩივანი მხარისთვის ცნობილი იყო, რომ სასამართლოში საქმე შეიძლებოდა მის სასარგებლოდ არ დამთავრებულიყო, ხოლო ადვოკატს საქმის შედეგზე წინასწარი გარანტია არ მიუცია. თ. ჩ-ს აპელირება იმაზე, რომ დეპოზიტზე თანხა დაიდო ამ სასამართლო პროცესამდე ან/და ამ პროცესისთვის, სიმართლეს არ შეესაბამება. ამდენად, აღნიშნულ თანხას არანაირი კავშირი არ ჰქონდა სასამართლო პროცესის შედეგთან. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის

ავტორისგან არანაირი თანხა, კერძოდ, აღნაგობის ხელშეკრულების მომზადებისთვის 1000 აშშ დოლარი არ მიუღია და ვერც მიიღებდა, რადგან მისი, როგორც რწმუნებულისადმი მარწმუნებლის დავალება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამ ხელშეკრულების მომზადებით. საჩივრის ავტორს რწმუნებულება გაცემული ჰქონდა მასზე და დ. კ-ზე და ისინი ერთად ურთიერთობდნენ შპს „----“ წარმომადგენლებთან და მათ იურისტებთან.

ადვოკატ გ. ქ.ს განმარტებით, რაც შეეხება მ. კ-სთან დაკავშირებულ ეპიზოდს, იგი თ. ჩ-ს დაეხმარა მხოლოდ მტკიცებულებების შეგროვებაში და გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია, ხოლო დ. ჩ-ს საქმესთან დაკავშირებით ადვოკატმა მას გაუწია იურიდიული მომსახურება, რაც მოიცავდა სარჩელის შეტანას სასამართლოში, სახელწიფო ბაჟის გადახდას, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას. აღნიშნული კი გულისხმობდა იმას, რომ თ. ჩ. ინფორმირებული იყო ყველა საქმის მიმდინარეობის თაობაზე. მას კლიენტთან თითქმის ყოველკვირეული შეხვედრები ჰქონდა და ტელეფონის მეშვეობითაც ხშირად ესაუბრებოდა.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით ადვოკატი გ. ქ. ცნობილ იქნა ბრალეულად „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის” ნორმებით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევა-ჩადენაში, რისთვისაც მას „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 34.1. მუხლის “ა” ქვეპუნქტის საფუძველზე, დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - გაფრთხილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატ გ. ქ-სა და კლიენტს - თ. ჩ-ს შორის არსებობდა სიტყვიერი შეთანხმება და რწმუნებულება. მათ შორის არ არსებობდა არანაირი წერილობითი ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საადვოკატო საქმიანობის საგანი, ასევე ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლებები და მოვალეობები. ადვოკატისა და კლიენტის სადეპოზიტო ანგარიშზე არსებობდა თანხა, რომლის გამოყენება მხოლოდ ორმხრივი ხელმოწერის დადასტურებით იყო შესაძლებელი. ადვოკატის მიერ არ ყოფილა ნაწარმოები ფინანსური ანგარიშგება. ადვოკატის მიერ საზღაურის მიღება ნაწილობრივ არ ხდებოდა დადგენილი წესით და ასევე არ ხდებოდა მისი დოკუმენტალური აღრიცხვა. ადვოკატმა არ გადასცა კლიენტს მოთხოვნილი დოკუმენტაცია. ეთიკის კომისიამ სადავოდ მიიჩნია ადვოკატისგან მასთან მისული კლიენტის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ადვოკატსა და კლიენტს შორის დადებული შეთანხმების ზუსტი რაობა და გასაწევი იურიდიული მომსახურების ფარგლები, ადვოკატის დაპირება საქმის სამართლებრივ შედეგზე.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატ გ. ქ-ს მხრიდან დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი, რომლის თანახმად, ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით”, ამავე მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, „ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება,

რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება", ხოლო ამავე მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად, „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა, ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, ან წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი".

ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატი გ. ქ. თ. ჩ-სთან ზეპირი ხელშეკრულების, 2012 წლის 19 ივნისისა და 24 სექტემბრის რწმუნებულებების საფუძველზე წარმოადგენდა საჩივრის ავტორის ინტერესებს სხვადასხვა საქმეზე. ყველა აღნიშნული რწმუნებულების თანახმად, იგივე უფლებამოსილებები მინიჭებული ჰქონდა ადვოკატ დ. კ-ს. კლიენტისათვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის" წარმოების ვალდებულება მოიცავდა კლიენტის საქმეზე ფინანსურ ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის წარმოებას.

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ „ადვოკატს არ უნდა დაეშვა იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რომელიც არ წარმოადგენდა ადვოკატის ქონებას. კლიენტის მიერ ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისათვის, წარმოშობდა ვალდებულებას, მინდობილი თანხა, კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოეყენებინა. როგორც საქმის მასალებით და მხარეთა ახსნა-განმარტებით დადასტურდა, ადვოკატს არც ურთიერთობის დასრულების შემდეგ არ დაუბრუნებია კლიენტისთვის მისგან მინდობილი ფულადი სახსრები. ამდენად, ადვოკატის უმოქმედობა/მოქმედებით არ მომხდარა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებული პროფესიული ქცევის დაცვა, რომლებიც არეგულირებდა ადვოკატის პროფესიულ ქცევას კლიენტის თანხების ანგარიშგებისა და კეთილსინდისიერად მართვის კუთხით. აღნიშნული რეგულაციები იცავდა კლიენტს გადახდილი ან მინდობილი ფულადი სახსრები არ ყოფილიყო არაპროპორციულად გახარჯული. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ გ. ქ-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა ზემოაღნიშნული ნორმების დარღვევას, რამაც გამოიწვია მისთვის დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილების შეფარდება.

მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა გ. ქ-მა, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის მითითებით, მიღებული გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი, ამასთან, იგი მიღებულია პროცედურული ნორმების დარღვევით, რის გამოც ექვემდებარება გაუქმებას. კერძოდ, იურიდიული მომსახურების საზღაური 30 000 აშშ დოლარი (შესაბამისი 49 785 ლარი) განთავსებულ იქნა არა ადვოკატისა და კლიენტის საერთო სადეპოზიტო ანგარიშზე, არამედ ადვოკატისა და კლიენტის შვილის - ც. ა-ს ერთობლივ ანგარიშზე. ვინაიდან გ- ქ-ს თ- ჩ-საგან არასოდეს არანაირი თანხა არ მიუღია, ასევე მასთან საერთო სადეპოზიტო ანგარიში არ ჰქონია, ვერანაირი თანხების აღრიცხვას გ- ქ. ვერ აწარმოებდა. რაც შეეხება ადვოკატისათვის კლიენტის დოკუმენტაციის გაუცემლობას, ეს ისეთივე ტყუილია, როგორც საჩივარში წაყენებული პრეტენზია - კლიენტის არაინფორმირებულობის შესახებ.

სადისციპლინო პალატის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ„ მე-16 მუხლის თანახმად, დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით, გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე. იმის გათვალისწინებით, რომ კოლეგიის სხდომა ჩაიშალა თ. ჩ-ს პროვოკაციული გამოხდომის შედეგად, ადვოკატი იმედოვნებდა, რომ შეწყვეტილი სხდომა გადაიდებოდა სხვა დროისათვის და სხდომის გაგრძელებისას მიეცემოდა საშუალება, ესარგებლა კანონით მინიჭებული უფლებებით. ნაცვლად ამისა, მხარეთა არგუმენტაციის მოსმენა შეწყდა, საქმის განხილვა დასრულდა და 2014 წლის 7 ივლისს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც გ. ქ-ს ჩაბარდა 2014 წლის 12 ნოემბერს - საპროცესო ვადის დარღვევით. რაც შეეხება სხდომის ოქმს, იგი შედგენილია „მოკლე შინაარსის“ მოყოლის პრონციპით და შინაარსობრივად არ შეესაბამება ამავე სხდომის ამსახველ აუდიო ვერსიას.

ადვოკატ გ. ქ-მა სადისციპლინო პალატის სხდომაზე ასევე მიუთითა, რომ ეთიკის კომისიაში საქმის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მოხდა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების დარღვევით, კერძოდ, ეთიკის კომისიას ადვოკატისთვის არ განუმარტავს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მხარეთა უფლებები, რის გამოც სხდომის მიმდინარეობისას ადვოკატმა ვერ შეძლო ეთკის კომისიისათვის მტკიცებულებების წარდგენა, ვერ მისცა სრულყოფილი, ამომწურავი და არგუმენტირებული ახსნა-განმარტება მომჩივნის მიერ დაყენებულ ყველა პრეტენზიასთან დაკავშირებით, ვერ დაუსვა შეკითხვები საჩივრის ავტორს, ასევე არ მიეცა საშუალება, გამოსულიყო შემაჯამებელი სიტყვით და სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით დაეცვა საკუთარი პოზიცია.

სადისციპლინო პალატის სხდომაზე ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა თ. ხ-მა მხარი დაუჭირა ეთიკის კომისიის პოზიციას და განმარტა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დასაბუთებულია, საქმე

გამოკვლეულია ყოველმხრივ, ასევე მხარეთათვის უზრუნველყოფილი იყო დიციპლინური წარმოების პროცედურები, რის გამოც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილებების ძალაში დატოვება.

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა თ. ხ-მა ყურადღება გაამახვილა იმ მტკიცებულებების მნიშვნელობაზე, რაზეც სადისციპლინო პალატის სხდომაზე ადვოკატმა გ. ქ-მა მიუთითა და აღნიშნა, რომ ადვოკატს აღნიშნული მტკიცებულებები არ წარმოუდგენია საჩივრის განხილვის არც დასაშვებობის და არც განხილვის სტადიაზე, მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნდა მათი დროულად წარდგენის შესაძლებლობა. ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ადვოკატი გ. ქ. მონაწილეობას იღებდა ეთიკის კომისიის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, რაც ნიშნავდა იმას, რომ საჩივრის შეტანისთანავე მან წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, მონაწილეობა მიიღო საქმის ზეპირ განხილვაში, შესაბამისად მტკიცებულებები, რომლებზეც ადვოკატი მიუთითებს, თავისუფლად შეეძლო წარმოედგინა საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატთა ასოციაცია მოწოდებულია იმისთვის, რომ შესრულდეს ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის დათქმები, რომლის თანახმადაც, კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. ადვოკატმა გ. ქ-მა წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ ეს სადავო თანხა ნამდვილად საინვესტიო პროექტის განხორციელების ფარგლებში მიღებულ თანხას წარმოადგენდა. თანხა დღემდე არაა დაბრუნებული საჩივრის ავტორისთვის და სწორედ ეს ფაქტი დაედო კომისიის გადაწყვეტილებას საფუძვლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორმა სრულად დაუჭირა მხარი საჩივარს და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატ გ. ქ-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება.

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 65.1 მუხლის (კანონის ანალოგია) შესაბამისად დადგენილია, რომ სადისციპლინო პალატა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც

ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის გათვალისწინებით.

სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატ გ. ქ-ს მიერ დარღვეულია „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ ნორმები, რის შესაბამისად ადვოკატის ქმედებებს სრულიად მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და ადვოკატს კანონიერი და სამართლიანი სახდელი დაეკისრა. ამდენად, არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების წანამძღვარები.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს კომისიის მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ადვოკატ გ. ქ-სა და კლიენტ თ. ჩ-ს შორის იურიდიული მომსახურების შესახებ მხოლოდ ზეპირი შეთანხმება და რწმუნებულება არსებობდა; ადვოკატსა და კლიენტს შორის არ არსებობდა რაიმე წერილობითი ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა საადვოკატო საქმიანობის საგანი, ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლებები და მოვალეობები; ადვოკატსა და კლიენტს შორის გახსნილი იყო საერთო სადეპოზიტო ანგარიში, რომლის გამოყენება მხოლოდ ორმხრივი ხელმოწერის დადასტურებით იყო შესაძლებელი; ადვოკატის მიერ არ ყოფილა ნაწარმოები კლიენტისა და საერთო სადეპოზიტო თანხების ფინანსური ანგარიშგება. ადვოკატის მიერ საზღაურის მიღება დადგენილი წესით არ ხდებოდა, ასევე არ ხდებოდა მისი დოკუმენტალური აღრიცხვა; ადვოკატმა კლიენტს არ გადასცა მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

სადისციპლინო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ სამართლებრივ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ ადვოკატ გ. ქ-მა უგულებელყო „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-12 პუნქტი, რომლის თანახმად, „ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით’’. სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე კლიენტისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი“ ჩანაწერის წარმოების ვალდებულება გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი დოკუმენტის წარმოებას. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს საქმისწარმოების არც ერთ ეტაპზე არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება , რომ იგი აწარმოებდა ფინანსური ანგარიშგების სრულ და ზუსტ ჩანაწერებს. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებას, რაც ადვოკატის მხრიდან არ შესრულებულა.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-13 ნაწილზე, რომლის თანახმად, „ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან

ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება". პალატა იზიარებს ეთიკის კომისიის პრაქტიკას, რომელიც დაადგინა 2012 წლის 18 ივნისის №004/12 გადაწყვეტილებით, კერძოდ, „კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების ან ქონების მინდობისას, ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების კეთილსინდისიერი მართვა და მინდობილ ქონებასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების შესახებ კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მართვის მინდობისას, კლიენტის ნდობა ეფუძნება არა მხოლოდ ადვოკატის პირად თვისებებს, არამედ მისი ადვოკატის პროფესიისადმი კუთვნილებას, რაც ადვოკატის მიერ უნდა იქნეს გამართლებული".

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად, „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა, ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, ან წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს, გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი". მითითებული ნორმით გათვალისწინებული ვალდებულება ვრცელდება, როგორც კლიენტის, ისე ადვოკატის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებზე. როგორც საქმის მასალებიდან და მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, ადვოკატს არც ურთიერთობის დასრულების შემდეგ არ დაუბრუნებია კლიენტისთვის მისგან მინდობილი ფულადი სახსრები და საერთო სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული თანხა.

სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას, რომ საერთო სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული თანხა - 49 785 ლარი განთავსებულ იქნა არა ადვოკატისა და კლიენტის საერთო სადეპოზიტო ანგარიშზე, არამედ გ. ქ-სა და ც. ა-ს ერთობლივ ანგარიშზე.

სადისციპლინო პალატის განმარტებით, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული თანხა განთავსდა ადვოკატისა და კლიენტის შვილის - ც. ა-ს ერთობლივ ანგარიშზე, რომელიც ამავდროულად წარმოადგენდა ამხანაგობის ახალ თავმჯდომარეს. ადვოკატმა ვერც ეთიკის კომისიაში და ვერც სადისციპლინო პალატაში ვერ წარმოადგინა რაიმე წერილობითი მტკიცებულება (ხელშეკრულება), სადაც მითითებული იქნებოდა ადვოკატ-კლიენტის უფლება-ვალდებულებებზე, ასევე იმის თაობაზე, რომ ადვოკატი გ. ქ. იყო ამხანაგობის სამართლებრივი მომსახურების გარანტი და რომ აღნიშნული თანხა - 49 785 ლარი სწორედ ამ საინვესტიციო პროექტის ფარგლებში მიღებული ანაზღაურება იყო. აქედან გამომდინარე, ადვოკატი ვერ ადასტურებს, რომ მითითებული თანხა საინვესტიციო პროექტის განხორციელების მომსახურებისთვის განკუთვნილ ჰონორარს წარმოადგენს, შესაბამისად, ადვოკატი დგება იმ იძულების წინაშე, რასაც „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" შესაბამისი ნორმა ავალდებულებს - კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, ადვოკატმა

კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას.

სადიციპლინო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ მას ეთიკის კომისიის სხდომაზე არ მიეცა საშუალება, წარედგინა მტკიცებულებები. იგი იმედოვნებდა, რომ შეწყვეტილი სხდომა გადაიდებოდა სხვა დროისათვის და სხდომის გაგრძელებისას მას მიეცემოდა შესაძლებლობა, ესარგებლა კანონით მინიჭებული უფლებებით. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადვოკატ გ. ქ-ს ეთიკის კომისიაში საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე არ დაუყენებია შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე იმ მოტივით, რომ მისცემოდა შესაძლებლობა, წარედგინა მის ხელთ არსებული მტკიცებულებები. სადისციპლინო პალატის განმარტებით, ასეთი მტკიცებულებების წარდგენა შესაძლებელი იყო საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, როგორც დისციპლინური დევნის აღძვრის ან არაღძვრის საკითხის განხილვისას, ასევე საქმის განხილვის მიმდინარეობისას, მაგრამ ადვოკატის მხრიდან ასეთ შუამდგომლობას ადგილი არ ჰქონია.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ მოცემული მტკიცებულებები (საბანკო ამონაწერი ბანკ „რესპუბლიკაში“ გ. ქ-ს ანგარიშის შესახებ და სხვა მტკიცებულებები) ადვოკატმა წარმოადგინა სადისციპლინო პალატის სხდომაზე და იშუამდგომლა მათი საქმეზე დართვის თაობაზე, მაგრამ იგი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ ეს არ იყო მტკიცებულებები, რომელიც მოცემულ საქმეს უკავშირდებოდა იმ კუთხით, რა კუთხითაც მის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრას ჰქონდა ადგილი. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო წერილობითი მითითება იმის თაობაზე, რომ ეს მტკიცებულება მომსახურების გაწევის თაობაზე უკავშირდება ამ მომსახურებისთვის სწორედ 49 785 ლარის გადახდას. სადისციპლინო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის თანახმად, გარემოება, რომელიც შეიძლება დადასტურდეს გარკვეული მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა მტკიცებულებებით. მოცემულ შემთხვევაში, ეს გარემოება უნდა დადასტურდეს წერილობითი მტკიცებულებებით, რაც ადვოკატმა გ. ქ-მა პალატის სხდომაზე ვერ წარმოადგინა.

სადისციპლინო პალატა იზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებებს საქმის განხილვის ვადების დარღვევასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მხრიდან ადგილი ჰქონდა პროცესუალურ დარღვევებს, კერძოდ, გადაწყვეტილება მიღებულია საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების ჩაბარებისათვის დადგენილი ვადების დარღვევით. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ გ. ქ-ს მიმართ საჩივარი ეთიკის კომისიაში შეტანილ იქნა 2013 წლის 14 აგვისტოს, დისციპლინური დევნა აღიძრა არა კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში, არამედ 2013 წლის 4 დეკემბერს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ იქნა 2014 წლის 7 ივლისს, ანუ დევნის აღძვრიდან არა 3 თვის, არამედ 6 თვის შემდეგ. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილება ადვოკატ გ. ქ-ს ჩაბარდა 2014 წლის 12 ნოემბერს - 4 თვის დაგვიანებით. სადისციპლინო პალატა საქართველოს

ადვოკათა ასოციაციის ეთიკის კომისიის ყურადღებას მიაქცევს აღნიშნულ საპროცესო დარღვევებზე და განმარტავს, რომ ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებები გათვალისწინებულია „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე მუხლით. აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კოლეგიის თავმჯდომარე განუმარტავს რა მხარეებს ეთიკის კომისიის რომელიმე წევრის ან მთელი კოლეგიის აცილების, შუამდგომლობებისა და დამატებითი მტკიცებულებების წარდგენისა და ადვოკატის ყოლის უფლებას, გულისხმობს სწორედ მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით საქმის განხილვასა და გადაწყვეტას. თუმცა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აღნიშნული პროცედურული დარღვევები, მისი არსებობის დადასტურების შემთხვევაშიც კი, არ შეიძლება გახდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სადისციპლინო პალატის დასკვნით, ადვოკატი გ. ქუ. არ აწარმოებდა სრულ და ზუსტ ფინანსურ ჩანაწერებს, კლიენტის მიერ მინდობილი თანხების მართვისას არ ხელმძღვანელობდა ეთიკის ნორმებით, ასევე კლიენტს არ დაუბრუნა დოკუმენტაცია და მისთვის მინდობილი ფულადი სახსრები. აღნიშნული კი გულისხმობს სწორედ იმას, რომ ადვოკატის მხრიდან არ მომხდარა „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებული ნორმების დაცვა, რაც უცილობლად უნდა ასახულიყო მის მიერ წარმოებულ ოფიციალურ დოკუმენტებში და არა რაიმე სხვა ზეპირსიტყვიერ შეთანხმებაში. აღნიშნული მოთხოვნების დაცვა ზედმიწევნით უზრუნველყოფს როგორც კლიენტის ნდობას ადვოკატის მიერ ფულადი სახსრების მართვისას, ასევე განაპირობებს ნდობას ადვოკატის პროფესიული ნიშნისადმი. მითითებულ ვალდებულებათა ნორმატიულ დონეზე დაცვა კი, თავისი არსით ემსახურება როგორც კლიენტის ინტერესების მაღალი ხარისხით წარმოჩინებას, ასევე განამტკიცებს სანდოობის უკეთეს ხარისხს კლიენტსა და მისი ინტერესების დამცველს შორის. აღნიშნულ ფორმის ურთიერთობა კი თავის მხრივ განაპირობებს სამართლებრივი ურთიერთობის ეფექტურობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. შესაბამისად, საჩივრის ავტორის გ. ქ-ს მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 70-ე მუხლით (კანონის ანალოგია) და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ გ. ქ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე	/მაია ვაჩაძე/
მოსამართლეები:	/ვასილ როინიშვილი/
	/ნუგზარ სხირტლაძე/